

სჯერა, რომ იესო არის ქრისტე, ვერ შევბედავ, ვუწოდო ცრუ-ქრისტიანული ეკლესია შეიძლება იყოს მხოლოდ წმიდად ჭეშმარიტი, მაღიარებელი ჭეშმარიტი და მაცხოვრებელი ღვთაებრივი ცოდნისა, ცრუ და მავნე ადამიანური შეხედულებების შერევის გარეშე; ანდა იყოს არა ბოლომდე ჭეშმარიტი, ქრისტეს ჭეშმარიტი და მაცხოვრებელი რწმენის აღმრევი ადამიანური აზრის მავნე და ცრუ შეხედულებებთან“. მიტროპოლიტი ფილარეტი დაასკვნის: „ახლა შენ მოელი, თუ როგორ განვსჯი ახლანდელი ქრისტიანობის მეორე ნახევარს, მაგრამ მას მე, უბრალოდ, მხოლოდ შევცქერი. ზოგჯერ ვამჩნევ, თუ როგორ კურნავს უფალი და ეკლესიის მეთაური – ეკლესიის სხეულის ყოველ ნაწილზე გაჩენილ „დასაბამიერი გველის“ უამრავ და ღრმა ნაკუნს, როგორ ადებს წყლულზე ხან მსუბუქ, ხან ძლიერ მაღამოს, ზოგჯერ კი ცეცხლსა და რკინასაც, ოღონდ შეასუსტოს სიმწვავე, ამოიღოს შხამი, ოღონდ განწმინდოს წყლული, ოღონდ ამოძირკვოს ღვარძლი, ოღონდ განაახლოს სული და ცხოვრება ნახევრად მკვდარ და გახევებულ კიდურებში“.

ეს არის მხოლოდ მოცემულობა ან ზოგადი დახასიათება. მასში ყველაფერი ცხადი და ბოლომდე თქმული არ არის. მაგრამ საკითხი მართებულადაა დასმული. ჯერ კიდევ დარჩა დაურღვეველი კავშირები, რომელთა ძალით სქიზმები მაინც ერთგვარი ერთობით იმყოფებიან... და მთელი ყურადღება, მთელი ძალისხმევა უნდა შეერთდეს და წარიმართოს ისე, რომ ძალა გამოეცალოს გათიშულობის სიჯიუტეს. „ჩვენ გამარჯვებას კი არ ვესწრაფვით, არამედ ძმათა დაბრუნებას, რომლებთან განშორებაც გულის გვიფლეთს“ (წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი).

**ღირსი სერგი რადონეჟელის ხსენების დღე:
5(18) ივლისი, 1933 წ.**

ეპქარისტია და კათოლიკობა⁴

**„ნურვინ იგლოვებს თვის სიღატაკეს,
რადგან საერთო სამეფო მოგვევლინება“.**
იოანე ოქროპირის სააღდგომო ჰომილიიდან.

I

წმიდა ეპქარისტია ქრისტეს მოსახსენებლად აღესრულება, პირველ ყოვლისა – საიდუმლო სერობის მოსახსენებლად, როდესაც მაცხოვარმა დააწესა და პირველად თვითონვე აღასრულა ახალი აღთქმის უწმიდესი საიდუმლო თავის მოწაფეებთან ერთად, და დაგვიტოვა მცნება: „ამას იქმოდეთ ჩემს მოსაგსნებელად“... მაგრამ ეს მარტოოდენ მოხსენიება არ არის. მოიხსენიებენ ხოლმე ყოფილსა და გარდასულს, იმას, რაც ოდესღაც მოხდა, და უკვე აღარ არის. ხოლო საიდუმლო სერობა არათუ ოდესღაც ერთგვის აღსრულდა, არამედ დღესაც საიდუმლოდ გრძელდება – მაცხოვრის მეორედ მოსვლამდე... სწორედ ამას ვადასტურებთ ყოველ ჯერზე, როცა კი საზიარებლად ბარძიმს მივეახლებით: „სერობასა საიდუმლოსა შენისასა ზიარებად შემიწყნარე, ძეო ღმრთისაო“... სერობა გრძელდება, და არ მერღება.

რადგან ერთია მსხვერპლი, ერთია შესაწირავი, ერთია მღვდელი – მწირველი და შეწირული. „და დღესაც იგივე ქრისტეა ჩვენ-

4. რუსულ თარგმანში ეს სტატია დასახელებულია, როგორც „Евхаристия и соборность“, ეს უკანასკნელი (соборность) კი ტერმინ „კათოლიკეს“ აღმნიშვნელია, რაც მრწამსის რუსულ ტექსტშიც შემდეგნაირად გვხვდება: „единая соборная и апостольская церковь“... – „კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია“... (მთარგმ.).

თან; ვინც მოამზადა ის სერობა, იგივე გვიმზადებს ამას დღესაც“, – ამბობს ოქროპირი და დასძენს: „ის სერობა, რომელზეც დაწესდა საიდუმლო, არაფრით არის უფრო სრულყოფილი, ვიდრე ყოველი მომდევნო, რადგან ყველაფრის მომამზადებელი და მომწოდებელი დღესაც ქრისტეა, როგორც მაშინ“.

ამით მუდგანდება კათოლიკობის (საყოველთაოობის) საიდუმლო, ეკლესიის საიდუმლო. მოციქული საიდუმლოდ ლაპარაკობს ეკლესიაზე, რომ ის არის ქრისტეს „აღვსება“, ანუ „აღსრულება“ (ეფესელთა მიმართ 1:23); ხოლო იოანე ოქროპირი განმარტავს, რომ „აღვსება“ ნიშნავს „დამატებას“ – ეკლესია ერთგვარი შევსებაა ქრისტესი, რომელიც თავია საკუთარი სხეულისა... ქრისტეს სხეული – ეკლესია, დროში დგინდება და აღსრულებს. ამგვარადვე, ყოველი ეგქარისტია არის საიდუმლო სერობის ერთგვარი აღსრულება, მისი გამოვლინება და განხორციელება ქვეყნიერებასა და დროში. ყოველი ეგქარისტული მსახურება ერთი მთლიანი ეგქარისტის სრული გამოხატულებაა, რომელიც მაცხოვარმა აღასრულა საიდუმლო სერობისას, თავისი ნებაყოფლობითი ტანჯვის წინა საღამოს. როგორც იოანე ოქროპირი ბრძანებს, ყოველი ეგქარისტია სრული და მთლიანი მსხვერპლია – „იგივე შეიწირება დღეს ჩვენგან, რაც მაშინ შეიწირა, და არასდროს დამცრობილა“... ყველგან და მარადის სრული ქრისტე.

ვითარცა მარადი მღვდელთმთავარი, მაცხოვარი, „განუწყვეტილად აღასრულებს ჩვენთვის ამ მღვდელმსახურებას“, – ამბობს სიღრმის მწვდომი ბიზანტიელი ლიტურგისტი ნიკოლოზ კავასილა. არა იმ გზით, რომ იგი თავიდან მოდიოდეს ამქვეყნად და წმიდა შესაწირავში განსხეულდებოდეს ან ჩასახლდებოდეს, „არა იმ გზით, რომ ცად ამადლებული სხეული ისევ გარდამოხდებოდეს“; ზეცად ამადლებულსა და მამის მარჯვნივ მჯ-

დომარე მაცხოვარს არ გაუწყვეტია ქვეყნიერებასთან კავშირი, და განუწყვეტილად მყოფობს თავის ეკლესიაში. იოანე ოქროპირის თქმით, „ქრისტემ ჩვენც დაგვიტოვა თავისი სხეული და თან მითვე ამადლდა“; საშინელი და გონებაშიუწვდომელია ეგქარისტული ძღვენის იმგვარი გაგება, რომლის მიხედვითაც, ძის მიერ მამისგან ქვეყნად მოვლინებული სულიწმიდის საიდუმლო მოქმედებით ქრისტეს მარად წმიდა სხეული გამოუთქმელად აღსრულებს.

და სწორედ ეს არის საიდუმლო. არ მეორდება მსხვერპლი, არ მეორდება დაკვლა... „ეს მსხვერპლშეწირვა, – ამბობს ნიკოლოზ კავასილა ეგქარისტიაზე, – აღსრულებს არა კრავის დაკვლით, არამედ პურის გარდაქმნით დაკლულ კრავად“. სულიწმიდის გარდამოსვლით შეწირული პური ეკლესიის ლოცვის შედეგად განიწმინდება და საღვთო ძალით აღიტაცება ბუნებრივი ყოფიერების ხრწნადი წრებრუნვისგან. წმიდა ძღვენი ღმერთის ზეციურ საკურთხეველზე შეიწირება და მაცხოვრის ჭეშმარიტ სისხლად და ხორცად გარდაიქმნება – ეს არის ღმერთკაცის სხეული, ნაშობი ქალწულისაგან, ტანჯული, აღმდგარი, ამადლებული და განდიდებული. ეს არის თვით ქრისტე – შეურევნელი ორბუნებოვნებით შეცნობადი...

„მან თქვა დასაბამში: აღმოაცენოს მიწამ მცენარეები“, – განმარტავს იოანე დამასკელი, – და წვიმით მორწყული მიწა მოაქამომდე აღმოაცენებს მცენარეებს, როგორც დადგენილი და დამტკიცებულია ღვთის ბრძანებით. ღმერთმა ასევე თქვა: „ეს არის ხორცი ჩემი და ეს არის სისხლი ჩემი, და ესე ჰყავით ჩემს მოსახსენებლად“; და მისი ყოვლადძლიერი ბრძანებით, ასეც ხდება, ვიდრე მეორედ მობრძანდება... და ამავე ბრძანებით, ამ ახალ მიწადმოქმედებას შეეწევა წვიმაც – სულიწმიდის მფარველი ძალა“.

ეს „ახალი მიწადმოქმედება“, როგორც გაბეღულად სახელს დებს იოანე დამასკელი, არის ერთგვარი კოსმიური საიდუმლო, ბუნების განწმენდა – საწყისი და საწინდარი იმ მომავალი დიდი განახლებისა, როდესაც ღმერთი იქნება ყოველივე ყოველივეში. ეს არის ახალი ცისა და ახალი მიწის ჩანასახი. წმიდა ევქარისტიაში მიწა უკვე დღესვე გარდაიქმნება ზეცად, რადგან „ახლა შეგვიძლია მიწაზე ვიხილოთ ზეცათა მეფუის სხეული“, – ამბობს იოანე ოქროპირი. მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, ეს არ არის თვითკმარი ფიზიკური, ბუნებრივი სასწაული, არ არის მხოლოდ ნივთიერების გარდაქმნა, რადგან ევქარისტის სასწაული სრულდება ადამიანისთვის, და სრულდება განხორციელებული სიტყვის ადამიანური ბუნების მეშვეობით. ევქარისტია „უკვდავების მალამოა“, წმიდა ეგნატე ანტიოქიელის უწყებით კი – „სიცოცხლისა და უხრწნელების საღებუნო“... უხრწნელებისა და უკვდავების საზრდო ადამიანისთვის. უპირველესად, ეს არის ტრაპეზი. და როდესაც ხორციელად ვეზიარებით, ჩვენ ჭეშმარიტად ვუერთდებით ქრისტეს, ქრისტე-ღმერთკაცს, რადგან მაცხოვრის ხორცი, სულიერი და ცოცხალი, განკაცებული ლოგოსის ჰიპოსტასთან ერთობით უკვე განდმართობილი, არის „ყოველთა ღმერთის სხეული“, როგორც ამას ბრძანებს იოანე ოქროპირი. ღმერთკაცის პიროვნებაში ორი ბუნების უცვლელი და განუყოფელი ერთიანობის ძალმოსილებით, ევქარისტის მიერ „სისხლსა და ხორციდან შეერთებით“, როგორც იოანე დამასკელი აღნიშნავს, „ჩვენ ვხდებით იესოს ღმერთობის თანაზიარნი“. სულიერ-ხორციელი არსებისთვის, როგორცადაც შექმნილია ადამიანი, არ არსებობს ღმერთთან შეერთების სხვა გზა და საშუალება – როგორც გვამცნო თვით მაცხოვარმა: „თუკი არ შეჭამთ ძე კაცისას ხორცს და არ შესვათ მის სისხლს, არ გექნებთ სიცოცხლე თქვენში“ (იოანე 6:53).

თავისი ეკლესიის დაფუძნებისას, უფალი საკუთარი მაცხოვრებელი ტანჯვის საიდუმლო წინსწრებით უკანასკნელ სერობაზე დაადგენს ახალი აღთქმის უწმიდეს საიდუმლოს და მოწაფეებს უმხელს, რომ ეს ერთობისა და სიყვარულის საიდუმლოა. მაცხოვარი იმ ღამეს მოძღვრავს მოციქულებს და უქადაგებს სიყვარულზე, და სიყვარულზე საუბრობს, ვითარცა გამაერთიანებელ ძალაზე. იგი საუბრობს თავის თავზე – ვითარცა ახალ, მეორე ადამზე, და როგორც ახალი ადამი, მაცხოვარი – იგი არის გზა ადამიანებისთვის, რომლებიც მისი მეოხებით და მის მიერ მივლენ მამასთან. მამის საიდუმლო სახლი, სადაც მრავალი სავანეა, ეს – თავად მაცხოვარია, რომლის სხეულში, ეკლესიაში, მორწმუნეები სიყვარულის ღვთიური ძალით ერთიანდებიან საიდუმლო თანასხეულებრივ მასთან და ერთმანეთთან. ისინი ერთიანდებიან სისხლისა და ხორცის საიდუმლოს მიერ – მაცხოვრისავე სიტყვით: „ვინც ჭამს ჩემს ხორცს, და სვამს ჩემს სისხლს, ის ჩემშია და მე მასში“ (იოანე 5:56).

სამოციქულო სწავლება ეკლესიის, როგორც ქრისტეს სხეულის შესახებ, უპირველეს ყოვლისა, გადმოგვცემს ლიტურგიკულ გამოცდილებას, გამოხატავს ევქარისტიაში მოქმედებას: „ერთია პური, და ჩვენ, მრავალნი, ერთი სხეულისანი ვართ, ვინაიდან ყოველნი ერთსა და იმავე პურს ვეზიარებით“ (1 კორინთელთა მიმართ 10:17). იოანე ოქროპირი განმარტავს: „ჩვენ სწორედ ის სხეული ვართ, რადგან რა არის პური? – ქრისტეს სხეული... რად გარდაიქმნებიან მაზიარებელნი? – ქრისტეს სხეულად... სხეული არის არა მრავალი, არამედ – ერთი“.

წმიდა ზიარების მიერ მორწმუნენი ქრისტეს სხეულად გარდაიქმნებიან. ამიტომაც, ევქარისტია ეკლესიის საიდუმლოა – „შეკრების საიდუმლო“, „თანაზიარების საიდუმლო“. ევქარისტია ურთიერთობა არ არის მხოლოდ სულიერი ან ზნეო-

ბრივი ერთობა, მხოლოდ განცდის, ნებელობისა და გრძნობის ერთობა. ეს არის რეალური, ონტოლოგიური ერთობა, ერთიანი ორგანული სიცოცხლის განხორციელება ქრისტეში. თვით ეს სხეულებრივი ფორმა მიანიშნებს სიცოცხლის ორგანულ უწყვეტობაზე. მორწმუნეებში, ქრისტესთან ერთობის ძალმოსილებითა და ხარისხით, აღიბეჭდება ერთიანი ღმერთ-კაცობრივი ცხოვრება, – საიდუმლოს თანაზიარებით, მაცხოვრებელ სულთან ერთობით.

ძველი დროის მამები არ ერიდებოდნენ „ბუნებრივ“ და „ფიზიკურ“ ერთობაზე საუბარს, ისინი რეალისტურად განმარტავდნენ ბიბლიური ვენახის სიმბოლოს. წმიდა კირილე იერუსალიმელი ევქარისტის მონაწილეებს ქრისტეს „ერთხორცსა“ და „ერთსისხლს“ უწოდებს.

თავის ერთიან სხეულში, – ამბობს კირილე იერუსალიმელი, – საიდუმლო კურთხევის ძალით, ქრისტე საკუთარ თავსა და მორწმუნეებს მართლაც ერთხორცად გარდაქმნის, „რათა ჩვენც შევზიარდეთ და ერთნი გავხდეთ ღმერთთანაც და ერთმანეთთანაც, თუმცაღა ჩვენ, საკუთარი სულითა და ხორციით, ცალკეულ პიროვნებებად ვრჩებით“...

„იმისთვის დამკვიდრდა მაცხოვარი ჩვენში, და თავისი სხეული ჩვენში იმისთვის განაზავა, – ამბობს იოანე ოქროპირი, – რათა ნამდვილ ერთობად გარდავიქცეთ, როგორც თავისა და სხეულის ერთიანობა. ეს არის უძლიერესი სიყვარულის ნიშანი... მე მოვედი და უზენაეს ძმად ყოფნა ვითხოვე, თქვენთვის შევიმოსე სისხლი და ხორცი, და ამ სისხლსა და ხორცს, რომლითაც მე თქვენი თანაზიარი გავხდი, კვლავ თქვენვე გთავაზობთ“. ევქარისტის მეშვეობით ქარწყლდება ადამიანის შეუვალობა და განმხოლოება. მორწმუნენი ხდებიან ქრისტეს სხეულის „ნაკვთები“, და აქედან გამომდინარე – ერთმანეთის ნაკვთები.

ფუძნდება ახალი კათოლიკე კაცობრიობა – ქრისტიანული მოღვაწეობა. „ყველა – ერთი ქრისტეა, როგორც ერთი სხეული, მრავალი ნაკვთისგან შენაწევრებული“, – ბრძანებს წმიდა სვიმეონი.

ევქარისტია კათოლიკე საიდუმლოა, მშვიდობისა და სიყვარულის საიდუმლო, და აქედან – ერთიანობის საიდუმლო. *Mysterium pacis et unitatis nostrae* (მშვიდობისა და ჩვენი ერთობის საიდუმლო) – როგორც გვაუწყებს ნეტარი ავგუსტინე. ეს სიყვარულის სერობაა, ისეთივე ჭეშმარიტი სერობა, როგორც საიდუმლო სერობა იყო, როდესაც მაცხოვარმა მოწაფეებს განუცხადა და დაანახვა „სამეფო გზა“ სრული სიყვარულისა – მსგავსად თავისი სიყვარულისა: „როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ, ასევე გიყვარდეთ თქვენც ერთმანეთი“ (იოანე 13:34), და უფრო მეტიც – მსგავსად სამებისეული სიყვარულისა: „როგორც მე შემეყვარა მამამ, მეც ასევე შეგიყვარეთ თქვენ. დარჩით ჩემს სიყვარულში“ (იოანე 15:9). სიყვარულის მცნებას მაცხოვარი ერთარსი სამების საიდუმლოზე აფუძნებს, – რადგან ეს საიდუმლო სწორედ სიყვარულია, „და ეს სახელი საწადელ არს ღმერთისთვის ყველა სხვა სახელზე მეტად“, – დასძენს წმიდა გრიგოლ ღმრთისმეტყველი. ასრულებს რა თავის გამოსათხივარ საუბარს სამღვდელთმთავრო ლოცვით, მაცხოვარი ლოცულობს თავისი მორწმუნეების გაერთიანებისა და ერთობისთვის: „რათა ყველანი ერთ იყვნენ, როგორც შენ, მამაო, ჩემში, და მე – შენში; რათა ისინიც ერთ იყვნენ ჩვენში... მე მათში, და შენ ჩემში, რათა სრულნი იყვნენ ერთობით“ (იოანე 17:21-23).

ჩვენთვის, რომელნიც ვართ გაყოფილნი და დაცალკეებულნი, ერთარსი და განუყოფელი სამების მსგავსი ეს ერთობა შესაძლებელი ხდება მხოლოდ ქრისტეს მიერ, მისი სიყვარულით, მის სხეულთან ერთიანობით, მისი ბარძიმიდან ზიარებით. კათოლიკე ეკლესიის ერთიანობაში საიდუმლოდ აისახება სამების ერთარ-

სობა; და სამების ერთარსობის მსგავსად, ერთი გული და ერთი გონება საღმრთო ცხოვრებაში თანაზიარებით ეძლევა მორწმუნეთა სიმრავლეს (მდრ. საქმე 4:32). თავის ამ ერთობასა და კათოლიკობას ეკლესია შეიცნობს და ახორციელებს უშუალოდ ევქარისტის საიდუმლოში. შეიძლება ითქვას, ეკლესია ყოვლადწმიდა სამების ქმნილი ხატია და ამიტომაც უკავშირდება სამების განცხადება ეკლესიის დაფუძნებას. ევქარისტულ თანაზიარებაშია ეკლესიის ერთიანობის აღსრულება და მწვერვალი.

II

ევქარისტის საიდუმლო, პირველ რიგში, საერთო და კათოლიკე (საყოველთაო) ლოცვაა. *Publica et communis oratio* (საზოგადო და საერთო ლოცვა), ამბობდა წმიდა კვიპრიანე კართაგენელი, – „და როდესაც ვლოცულობთ, ვლოცულობთ არა ერთისთვის, არამედ მთელი ერისთვის, რადგან ჩვენ, მთელი ერი, ერთი ვართ“... ვლოცულობთ მთელი მორწმუნე ერისთვის და ლოცულობს მთელი მორწმუნე ერი... ეს ლოცვის გარეგნული ფორმით ვლინდება. „სამადლობელი ლოცვები ყველასთვის საერთოა“, – ბრძანებს იოანე ოქროპირი. ლოცვას მღვდელი წარმოთქვამს მთელი მორწმუნე ერის სახელით, ეკლესიის სახელით, მორწმუნეთა კრებულის სახელით. ეკლესიისგან, მთელი საეკლესიო ერისგან მიაქვს მას წმიდა შესაწირავი და თავად კი არ ლოცულობს, არამედ – ერის ნაცვლად, მსგავსად იმისა, როგორც ერს მიაქვს საკურთხეველზე ძღვენი. „მერმეცა შევსწირავთ შენდა სიტყვერსა ამას და უსისხლოსა მსხუერპლსა, და გხადით შენ, და შეგივრდებით და გევედრებით, გარდამოავლინე სული შენი წმიდაა ჩუენ ზედა და წინა-მდებარეთა ამათ ძღუენთა ზედა“...

და ერი დაამოწმებს ამ საიდუმლო ლოცვა-ვედრებას თავი-

სი დასტურით: „შენ გიგალობთ, შენ გადიდებთ, შენ გმადლობთ, უფალო, და გევედრებით შენ, ღმერთო ჩუენო“... ეს არის არა პასიური დასტური, არა ლოცვითი აკომპანემენტი, არამედ – განუყოფელი ერთსულოვნებისა და ლოცვითი იგივეობის დამოწმება. მღვდელმსახურის პირით ეკლესია მეტყველებს. ოღონდ მხოლოდ მღვდელს შეუძლია ერის ლოცვის აღვლენა, რადგან მხოლოდ მას აქვს საღმრთო მადლით მონიჭებული უფლება და კადნიერება ყველას ნაცვლად საუბრისა. ეს ნიჭი და უფლება მას ეძლევა არა ერისგან, არამედ – სულიწმიდისგან, სამღვდელმთავრო მემკვიდრეობის წესით, მაგრამ ეძლევა ერისთვის, როგორც საეკლესიო გუნდის ერთგვარ კორიფეს (წინამძღვარს), და მიემადლება – როგორც მსახურების ნიჭი, როგორც ერთ-ერთი ნიჭთაგანი ეკლესიის ნიჭთა სიმრავლიდან.

„ჩვენ“ ლოცვაში ნიშნავს არა მარტო მრავლობით რიცხვს, არამედ, უპირველესად – მლოცველი ეკლესიის სულიერ ერთობას, ლოცვად წარდგომის განუყოფელ კათოლიკობას. რადგან მორწმუნეთა ლოცვა უნდა იყოს „სიმფონიური“ ლოცვა, უნდა აღეველინებოდეს „ერთითა პირითა და ერთითა გულითა“, და ისე კი არ უნდა იყოს, რომ კერძო, პირადი და ცალკეული ლოცვები უბრალოდ შეეთავსოს ერთმანეთს, არამედ ისე, რომ თითოეული ეს შეთავსებული ლოცვა გასცდეს პირადულის ფარგლებს, აღარ იყოს მხოლოდ პირადი, და გახდეს საერთო და კათოლიკე. ანუ თითოეული მათგანი უნდა ლოცულობდეს არა თავისთავად, არამედ, სახელდობრ, როგორც ეკლესიის წევრი, თავის თავს უნდა განიცდიდეს და ჭკრეტდეს ეკლესიის სხეულის ნაწილად. ყოველივე ეს გვეძლევა მშვიდობისა და სიყვარულის მიერ. სწორედ ამიტომაცა ჩაწერილი ლიტურგიკულ წესში სიყვარულის ლოცვა: „ვიყვარებოდით ურთიერთარს“... ცხადია, აქ იგულისხმება არა მხოლოდ უძღური ადამიანური სიყვარული,

არამედ ის ახალი სიყვარული, რომელზეც გვმოდერავს მაცხოვარი, ანუ – ქრისტეს სიყვარული, ქრისტესმიერი სიყვარული და ქრისტესთვის სიყვარული. არა ბუნებითი ლტოლვა, არამედ მადლიანი ძალა, რომელიც განფენილია ჩვენს გულეში სულიწმიდით (რომაელთა მიმართ 5:5). სიყვარული ეკლესიაში გადასხვაფერდება, იძენს ონტოლოგიურ სისავსესა და სინამდვილეს.

ამიტომ ხდება შესაძლებელი – „გიყვარდეს მოყუასი შენი, ვითარცა თავი თვისი“. მხოლოდ ქრისტეს მიერ არის შესაძლებელი ასეთი სიყვარული, რომელსაც მორწმუნის მხერა აღმოაჩენს ყოველ მოყვასში, ერთ-ერთ „ამ მცირეთაგანში“, – და მხოლოდ ქრისტეს თავგანწირული სიყვარულის წყალობით. ეს სიყვარული ვერ ითმენს ზღუდეებსა და საზღვრებს, არ შეუძლია და არც სურს იყოს ჩაკეტილი, ეული. არანაირი პირადი სიკეთე აღარ არის სასურველი და ტკბილი. ეს არის მსგავსება ქრისტეს სიყვარულისა, რომელიც არავის განაგდებს თავისი სისავსიდან. უფლის ღოცვასთან დაკავშირებით მრავლისმეტყველ განმარტებას გვაწვდის იოანე ოქროპირი: „იყოს ნებად შენი ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქუეყანასა ზედა“ – ეს ნიშნავს: „როგორც ცაში არ არის არც ერთი ცოდვილი, – ვამბობთ ჩვენ, – ისევე დაე, ქვეყანაზეც ნუ იქნება – ნურც ერთი; არამედ ყველას ჩაუნერგე შენი შიში და ყველა ადამიანი ანგელოზებად აქციე, იმის მიუხედავად, რომ ისინი ჩვენი მტრები და მოძულეები⁵ არიან“... ასეთი სიყვარულით უნდა მიეახლოს ადამიანი ევქრისტის საკრძაღველ საიდუმლოს. „რამეთუ შეი-

5. რუსულ ტექსტში აღნიშნულ ადგილას გვხვდება ტერმინი „субстит“, რაც ქართულად ითარგმნება, როგორც: „მტერი“, „მოწინააღმდეგე“, „მოძულე“ (მთარგმ.).

წირება მთელი სამყაროსათვის, როგორც საერთო განმწმენდელი მსხვერპლი“, – დასძენს იოანე ოქროპირი.

ლიტურგიული ღოცვა არის კათოლიკე, აღსავსე ყოვლისმომცველი შემართებითა და მისწრაფებით. მასში მოქცეულია მთელი ქვეყნიერება, როგორც ღმერთისგან უკვე ნაკურთხი. ეკლესია ისწრაფვის, ღოცვაში სახელდებით მოიხსენოს მთელი თავისი შემადგენლობა: განდიდებულიცა და უძლურიც, ცოცხალიცა და მიცვალებულიც. და იმათი მოხსენიებით, ვისთვისაც ეკლესიურ ერს სურს და შეუძლია ღოცვა, იკურთხება და მტკიცდება პიროვნული საწყისი, რადგან ცოცხალთა და მიცვალებულთა ევქარისტიული მოხსენიება ნიშნავს ყველა ინდივიდის განმტკიცებასა და დამკვიდრებას ეკლესიის ერთიან და კათოლიკე სხეულში. „მიეცი მათ ადგილი და სამკვიდრო შენს სასუფეველში“, – როგორც ნათქვამია ძველ აღუქსანდრიულ ლიტურგიაში. ჩვენ ვევედრებით ღმერთს, დაგვაძლევინოს ჩვენი მესხიერების უძლურება და აღმოგვიფხვრას ხარვეზები: „და ისინი, რომლებიც ჩვენ ვერ მოვისხენიეთ უმეცრებისა და გულმაღვიწყობის გამო ან სახელთა სიმრავლის მიზეზით, თავად მოიხსენე, ღმერთო, რომელმაც უწყი ყოველთა ასაკი და სახელი, იცნობ რა თითოეულს დედის მუცლიდანვე“...

და ჩვენი ერთობლივი ღოცვით „ყოველი ქრისტიანის სულსათვის“ და მათთვის, ვინც საუკუნო ცხოვრებაში აღდგომის იმედით მიიცვალა, ჩვენ ვამოწმებთ და ვამტკიცებთ ჩვენს ნებას ყოველთა მომცველი, უგამონაკლისო ღოცვისათვის. და ასევე, თანამგრძობი სიყვარულით აღსავსე ევქარისტიული ღოცვა მოიცავს ყველანაირ ცხოვრებისეულ გარემოებათა და ვითარებათა სირთულეს, ამქვეყნიური ხვედრის მთელს სიმძიმეს. მლოცველი ღმერთს შესთხოვს, თავისი კურთხევა და წყალობა მოჰმადლოს ადამიანს მთელი ცხოვრების მანძილზე, რადგან ქრისტეს

სიყვარული ყველას და ყოველივეს მოეფინება და მოიცავს: „იყავი ყველაფერი ყველასთვის, გახსოვდეს ყოველი ადამიანი, მისი სათხოვარი, სახლი და საჭიროება“. მთელი ცხოვრება განჭვრეტილია ქრისტეს მიერ და ეკლესია ლოცულობს:

„მოიკსენენ ვითარცა სახიერმან და კაცთ-მოყუარემან შე-
მომწირველნი და რომელთათვის შემოსწირნეს და ჩუენ და-
უშჯელად დამიცვენ მდღელმოქმედებასა შინა საღმრთოსა შენსა
საიდუმლოსა... ღმრთივდაცული ერი ჩუენი და მთავრობაჲ და
მკედრობაჲ მისი... მოიკსენენ, უფალო, და დაიცვენ აქა მდგო-
მარენი მონანი და მკვევალნი შენნი... ყრმანი აღზარდენ, ჭაბუკ-
ნი განსწავლენ, სახლეულები გარეშეზღუდენ შფოთისაგან და
მტერობისა, ობოლთა ექმენ დედა. ყოვლისა სიბილწისაგან და
მანკიერებისა გარე-მიაქციენ, და ყოველსა კეთილსა და ღმრ-
თივ-სათნოსა შეჰრთენ, ხოლო ცთუნებულნი და ცოდვითა და
არაწმიდებათა შინა შთაცვენულნი, ცოდვისა შეგინებითა მიმ-
ძლავრებულნი, უფსკრულთაგან წარწყმედისათა აღმოიყვანენ;
ქურივთა ნუგეშინის-მცემელ და შემწე ექმენ... რომელნი სულ-
თაგან არაწმიდათა იტანჯებიან, განათავისუფლენ... მენავეთა
თანა-მენავე ექმენ, მოხაურთა – თანა-მოგზაურ, ჳელმოკლეთა
და მშიერთა – მასაზრდოებელ, უსახლკართა – საფარველ და
თავშესაფარ... აცხოვნენ, უფალო, და შეიწყალენ მოხუცებულნი
და ყრმანი, ობოლნი და ქურიენი და მდებარენი უძღურებასა
და დაკსნილობასა შინა, მწუხარენი, განსაცდელსა შინა მყოფ-
ნი, ტყუეობასა და საპყრობილესა შინა მყოფნი, დევნულნი სიმა-
რთლისათვის მართლმადიდებლობასა შინა, უღმრთოთა და წარ-
მართთაგან, მწვალებელთაგან და უარის-ყოფელთა, მონანი შენნი
მოიკსენენ, განანათლენ, აღადგინენ, განათავისუფლენ, განამტ-
კიცენ ძალითა შენითა, შენდობა და ჳსნა მოანიჭე მათ აცხ-
ოვნენ, უფალო, და შეიწყალენ მოძულენი და მაჭირვებელნი

ჩემნი, და მოქმედნი ჩემ ზედა უშჯულოებისანი, და რომელი
მძძლავრობენ და მყვედრიან მე, და ნუ დაშჯი მათ უშჯულოე-
ბათა მათთა გამო, არამედ მოაქციენ იგინი ბოროტისაგან, რომელი
აქუს ჩემდა მომართ, და შეიწყალენ ღიღითა შენითა წყალობითა“.

ასეთი ლოცვა აღევლინება შესაწირავის კურთხევისას, თვით
ქრისტეს წინაშე. და ეს სიყვარულის ლოცვა სრულდება ერთ-
სულოვნებისა და მშვიდობის თხოვნით – მთელი კაცობრიო-
ბისთვის: „უარისმ-ყოფელნი მართლმადიდებელთა სარწმუნოებ-
ისანი და ჳეშმარიტებისა გზასა შეცდომილნი. წვალებათაგან
დაბნეულნი, ნათლითა ცნობისა შენისაჲთა განანათლენ და
მოაქციენ იგინი მართალსა სარწმუნოებასა ზედა, და ზიარ-
ჳყვენ წმიდისა შენისა კათოლიკე და სამოციქულოჲსა ეკლესი-
ისა, რაჲთა გიცნან შენ, მხოლო ჳეშმარიტი ღმერთი, და თაყუა-
ნის-გცვენ“, – ასე ლოცულობს მთელი ერი, და ყოველი მათ-
განი ლოცულობს მთელი ერისთვის.

ეს არ არის მხოლოდ ლოცვაში ერთობა. ევქარისტიაში
უხილავად, მაგრამ ჳეშმარიტად გაცხადდება ეკლესიის სისავსე.
ყოველი ლიტურგია სრულდება მთელს ეკლესიასთან კავშირ-
ში და, ერთგვარად, მის მიერ – არა მარტო წირვაზე მყოფი
ხალხის მიერ, – ისევე როგორც საიდუმლოთა აღსრულების
უფლება მღვდელს მიენიჭება სამოციქულო მემკვიდრეობის ძალ-
მოსილებით და, შესაბამისად, თავად მოციქულთაგან, მთელი ეკ-
ლესიისგან და თვით ქრისტესგან. რადგან ყოველი „მცირე
ეკლესია“ არის არა მხოლოდ ნაწილი ეკლესიისა, არამედ მთე-
ლი ეკლესიის შემცირებული მოდელი, მისი ერთიანობისა და
სისავსის მქონე. ამიტომაც, ყოველ ლიტურგიაში საიდუმლოდ,
მისტიკურად, მაგრამ რეალურად მონაწილეობს მთელი ეკლე-
სია. ლიტურგიული მღვდელმოქმედება ერთგვარი განახლება-
დი ღვთის განცხადებაა. მასში ქრისტე ღმერთკაცს ვჭვრეტ,

როგორც ეკლესიის დამფუძნებელსა და თავს, და მასთან ერთად – მთელს ეკლესიას.

ევქარისტულ ლოცვაში ეკლესია თავის თავს ხედავს და ქრისტეს ცნობს ერთიან და მთლიან სხეულად. ამ ხილვადი ერთობის გარეგნული ნიშანია ნაწილები, რომლებიც პროსკომიდიის დროს წმიდა ფეშხუმზე განლაგდება საღმრთო შესაწირავის – კრავის გარშემო. „წმიდა პროსკომიდიის ამ საღმრთო ხატებასა და მოქმედებაზე, – განმარტავს სვიმეონ თესალონიკელი, – ჩვენ, გარკვეული აზრით, ვხედავთ თვით იესოსა და მის მთელს ეკლესიას. ყოველივე ამის ცენტრში ვხედავთ მას, ჭეშმარიტ ნათელს, საუკუნო ცხოვრებას... რადგან ის თვითონ იმყოფება აქ, შუაგულში, პურის სახით. მარჯვენა ნაწილი გამოხატავს ღვთისმშობელს, მარცხენა – წმიდანებსა და ანგელოზებს, ქვემო ნაწილი – ყოველი მისი მორწმუნის კეთილმსახურ კრებულს. აქ დიდი საიდუმლოა... ღმერთი კაცთა შორის და ღმერთი განღმრთობილ პიროვნებათა შორის, რომელთაც მიიღეს განღმრთობა ბუნებით ჭეშმარიტი ღმერთისგან, რომელიც ჩვენთვის განკაცდა. აქ არის მომავალი სასუფეველი და საუკუნო ცხოვრების განცხადება“.

ეს არ არის მხოლოდ ხატება, არც მხოლოდ საღმრთო სიმბოლიზმი. ლიტურგიკულ მოხსენიებას აქვს საიდუმლოდ მოქმედი ძალა – ამიტომაც აღესრულება ის მხოლოდ მორწმუნეთათვის, ეკლესიის წევრთათვის (თუმცა ეკლესია „გარეშეთათვისაც“ ლოცულობს – იმათთვის, ვინც განდგა და არ ეძიებს ღმერთს, მაგრამ არა წმიდა შესაწირავის მიტანისას). „რადგან, – განაგრძობს სვიმეონ თესალონიკელი, – ვინმეს სახელზე შეწირული ნაწილი, საღმრთო პურის სიახლოვეს რომ არის იმ დროს, როცა პური წმიდა რიტუალის მეშვეობით ქრისტეს ხორცად გარდაიქმნება, – ეს ნაწილიც მაშინ განიწმინდება და

იკურთხება, და ბარძიმში მოთავსებული, უერთდება სისხლს. ამიტომ, იმ სულზეც, რომლისთვისაც მიტანილია, გადმოდის მადლი. აქ ხდება ერთგვარი გონებითი შეერთება. და თუ კაცი კეთილმსახურია ან თუნდაც ცოდვილია და შეინანა, მაშინ სულიწმიდა მასზე უხილავად გარდამოდის“.

ამგვარად განმტკიცდება ევქარისტულ მოხსენიებაში ქრისტეს მორწმუნეთა შესისხლხორცება. ეს არ არის მაგიური მოქმედება – ეს არის ჯვრის მაცხოვრებელი მადლის მოქმედება, რომელსაც ყოველი კაცი იღებს და ითვისებს თავისი სიწმინდისა და ღირსების შესაბამისად; რადგან განკითხვაში მყოფიც შეიძლება ეზიაროს. მოწყალე ღმერთის სიყვარულს მხოლოდ კაცის სიყვარული ითვისებს, ქრისტე საკუთარ თავს უნაწილებს არა მარტო იმათ, ვინც სხეულებრივად ეზიარება მღვდლის ხელიდან მის სიხლსა და ხორცს, – ევქარისტის იღუმალმოქმედებით იგი იქ არმყოფთაც ეძლევა, „როგორც თავად უწყის მხოლოდ“.

სწორედ ეს არის სულიერი, ანუ „გონითი“ შეერთება, რადგან ღმერთკაცთან შეერთება მისი სხეულის საშუალებით თუკი გულისხმობს არა მარტო ხორციელ, არამედ მშვინვიერ და სულიერ კავშირსაც, მაშინ პირიქით – ქრისტესთან ყოველნაირი კავშირი ერთგვარი შეერთებაა და, მაშასადამე, მისი ყოვლადწმიდა და ამაღლებული სხეულის შეხება. „სულის ყოველი მშვიდობა და ყოველი ჯილდო სათნოებისთვის, – ბრძანებს ნიკოლოზ კავასილა, – სხვა არაფერია, თუ არა პური და სასმელი, რომელსაც თანაბრად ეზიარებიან ცოცხალნიცა და მიცვალებულნიც – ყველა თავის კვალობაზე“.

ამგვარად აღიხორცება ევქარისტიაში სიკვდილის მიჯნა, მოკვდავთა განშორების საზღვარი: განსვენებულნი უერთდებიან ცოცხლებს ევქარისტული ერთობით, ქრისტეს ტრაპეზის ერ-

თობით. ევქარისტული მოხსენიება არ არის მხოლოდ მოგონება, ეს არის მოციქულთა ქრისტესმიერი თანაზიარების ხედვა, ჭკვრეტა. ამიტომაც აღვევლინება ლოცვა ყველასთვის. „ამ წმიდა შესაწირავით ყველანი ერთად – ანგელოზებიცა და წმიდანებიც – შეუერთდნენ ქრისტეს, იკურთხებიან მის მიერ და მის მიერვე გვიერთდებიან ჩვენ“, – განმარტავს სვიმეონ თესალონიკელი. და ყოველთვის, როცა ევქარისტის რიტუალს ვასრულებთ, ჩვენ ვხედავთ და განვიცდით ამ სრულყოფილ ერთობას, და ვლოცულობთ ღვთის მიერ მოწოდებული და გამოხსნილი კაცობრიობის სახელით, ვლოცულობთ როგორც მთელი ეკლესია.

ევქარისტია ერთგვარი ონტოლოგიური გამოცხადებაა ქრისტესი და ეკლესიისა. ეს არის ქრისტეს გამოცხადება ეკლესიაში. „საეკლესიო საიდუმლო თვით ეკლესიასაც ნიშნავს, – აღნიშნავს კავასილა, – რადგან თქვენ ერთად ქრისტეს სხეული ხართ, ხოლო ცალ-ცალკე – მისი ასონი (1 კორინთელთა მიმართ 12:27). ეკლესია განაგებს საიდუმლოებს, არა როგორც სიმბოლოებს, არამედ ისე, როგორც გული განაგებს ნაკეთებს, როგორც ხის ფესვები – ტოტებს, და, უფლის ბრძანების თანახმად, როგორც ვაზის ყლორტი – ღერწებს; რადგან აქ არა მხოლოდ სახელებისა და გამოხატულების იგივეობაა, არამედ არსობრივი იგივეობა. ვინმეს რომ შეეძლოს ქრისტეს ეკლესიის დანახვა ისე, როგორც ეკლესია უკავშირდება ქრისტეს და მონაწილეობს მის სხეულში, მაშინ ის დაინახავდა არა სხვა რამეს, არამედ სწორედ უფლის სხეულს. რადგან ამ სისხლის წყალობით მორწმუნენი უკვე ცხოვრობენ ქრისტესმიერი ცხოვრებით, რომელიც ჭკმშიარტად შეერთებულია იმ თავთან და შემოსილი აქვს ეს სხეული“. ევქარისტია უმაღლესი ჰიმნია, ვიდრე ლოცვა – აქედან მომდინარეობს თვით მისი სახელიც – „სა-

მადლობელი“. ცხადია, ეს გოლგოთაა, ხოლო ტრაპეზზე დაკლული კრავი დევს – ხორცი განტეხილი და სისხლი დანთხეული. მაგრამ გოლგოთაც სიხარულის საიდუმლოა, არა შიშის, არამედ სიყვარულისა და ღიადების საიდუმლო... „აწ იდიდა ძე კაცისა“ (იოანე 13:31). ხოლო ჩვენი უღირსობის გამო თუკი ვძრწით ჯვრის წინაშე, ეს ძრწოლა მაინც კეთილმოშიშების ძრწოლაა, გამოუთქმელი საღმრთო სიყვარულით აღსავსე განცვიფრება. რადგან „საწყისი, შუა და ბოლო ნაწილები ქრისტეს ჯვრისა – ყველაფერი ერთად – საღმრთო სიყვარულია“, – გვაუწყებს მიტროპოლიტი ფილარეტი.

ამიტომაც, სიხარული ჯვრიდან მოეფინება მთელს ქვეყნიერებას. ჩვენ ჩვენი ცოდვების გამო ვძრწით, მაგრამ გვიხარია და ვადიდებთ, ვგალობთ გამარჯვების საგალობელს, ქებისა და მადლიერების საგალობელს „ყოველივესათვის, რაც ვუწყით და რაც არ ვიცით, ხილული და ფარული სიკეთეებისათვის, ჩვენ გამო რომ აღსრულდა“. მთელს ლიტურგიკულ საიდუმლოში, ყველა ლოცვაში უღერს ტრიუმფისა და მადლიერების ელფერი. ეს არის ღიადების სამეფოში შესვლა. ჩვენ ვხედავთ და ვინსენებთ არა მხოლოდ გოლგოთას, არამედ „ყოველივეს, რაც ჩვენთვის აღსრულდა: ჯვარი, საფლავი, მესამე დღეს აღდგომა, ზეცად ამაღლება, დაჯდომა მარჯვენით მამისა, აგრეთვე – მეორედ მოსვლა ღიადებით“. ვხედავთ არა მარტო ჯვარცმულ და ვნებულ ქრისტეს, არამედ ვხედავთ ქრისტეს – აღმდგარსა და საყოველთაო ღიადებით მორჭმულს, სიცოცხლის მეფეს, სიკვდილის დამთრგუნველს. ევქარისტია გამარჯვების სასწაულია, გამოხსნის სასწაულია – ხრწნილებისგან გამოხსნისა, სიკვდილზე გამარჯვებისა. ეს შერიგების საიდუმლოა – სიყვარულისა და არა წუხილისა, მიტევებისა და არა – სამსჯავროსი. ქრისტე იგვემა, მაგრამ აღდგა და თავისი სიკვდილით სიკვდილი დათრ-

გუნა. აღდგა თავისი ნებით ვნებული, და მაცხოვრის განდიდებულ სხეულს შერჩა „ნაღურსმი წყლულები“, რომელთაც თომა მოციქული შეეხო ხელით. მისი სიკვდილი ჩვენ აღდგომად შემოგვიბრუნდა. ამისთვის ვმადლობთ და ვხარობთ. „ვმადლობთ შენ ამ მსახურებისთვის, რომელიც ჩვენი ხელიდან მიღების ღირსად მიიჩნე“, რადგან ამ შიშის მომგვრელი მსახურებისას ჩვენ ვუერთდებით ქრისტეს და ვეზიარებით მის ცხოვრებასა და ჯვარისმიერ ძლევას.

ნიკოლოზ კავასილას თქმით, „ყველა საიდუმლო ერთგვარი სხეულია ისტორიისა, ერთიანი ხატია მაცხოვრის ერთიანი სასუფევლისა“. ევქარისტია ღმერთის განგებულების ხატია. ამიტომ სამადლობელი მოხსენიება მოიცავს ღმერთის ქმნილების მთელს სისავსეს. ლიტურგიკული ხედვა კოსმიური პათოსითაა აღსავსე, რადგან ქრისტეში, სიტყვის განკაცებასა და ღმერთკაცის აღდგომაში აღსრულდა და სრულ იქმნა ღმერთის საუკუნო განგება ქვეყნიერებისთვის. ლოგოსის განსხეულებით აღსრულდა ნივთიერების კურთხევა, და ჩვენ მიგვაქვს ნივთიერების პირველნაყოფი – პურეულისა და ყურძნის სახით – ევქარისტული კურთხევისთვის. მან აღადგინა ღმერთის ხატება და მსგავსება ადამიანში, ხოლო წმიდანებსა და მართლებში ჩვენთვის აღთქმულ და სასოებით მოსალოდნელ „განღმრთობას“ ადამიანისა ჩვენ ვჭკვრეტთ, როგორც უკვე მომხდარს, და ამის გამო ვხარობთ და ვმადლობთ. ეკლესია წმიდანებში ჭვრეტს თავის აღსრულებას, ჭვრეტს ღმერთის უკვე ძალმოსილ მეუფებას... ხარობს მათ გამო, რადგან ეს არის ღმერთის უდიდესი ძღვენი კაცობრიობისათვის. ისინი ეკლესიის ნაწილები არიან, კეთილმოსაგრეობით რომ მიაღწიეს ქრისტეს სავანეს და თავიანთი უფლის სიხარულში ამაღლდნენ.

„ჩვენ ყველა ერთი სხეული ვართ, თუმცა ზოგიერთი ნაკვთი

სხვებზე ნათელია“, – შენიშნავს იოანე ოქროპირი. ეკლესია უწინარესად, განსაკუთრებულად მოიხსენებს ღვთისმშობელს – ადამიანთა მხრიდან „ფესვს ამ საღმრთო მსხვერპლისა“. ევქარისტიაში ჩვენ მისგან ნაშობ ხორცს ვეზიარებით, გარკვეული აზრით – მის ხორცს. და ამის გამო საიდუმლოდ ვხდებით მისი შვილები, ხოლო თავად ის – ეკლესიის დედაა, რადგან დედაა ქრისტესი, ეკლესიის თავისა. „ეს სიტყვა ჭეშმარიტია, – გაბედულად გვიმოწმებს წმიდა სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი, – რადგან უფლის ხორცი ღვთისმშობლის ხორცია“... სიტყვის განხორციელებით ადამიანთა სამყარო, ეს სოფელი შეუერთდა ანგელოზთა სამყაროს, ზესთასოფელს; ამიტომ ლიტურგიის ჟამს ვლოცულობთ და სადიდებელს აღვაგლენთ ჩვენ, ადამიანთა გუნდი, „რომელნი ქერობინთა საიდუმლოდ ვემსგავსებით“, და ზეციურ ძალებთან, ანგელოზთა დასებთან ერთად აღვაგლენთ და ვიმეორებთ სერაბინთა დაუდუმებელ საგალობელს, „რადგან ქრისტეს მიერ გაერთიანდა ანგელოზთა და ადამიანთა ეკლესია“, – განმარტავს სვიმეონ თესალონიკელი.

ანგელოზთა ძალები ამქვეყნიურ საიდუმლო მოქმედებაში მონაწილეობენ, „სურთ, განიცადონ ეკლესიის საიდუმლო“ – ასე ერთდება და გადაჯვარედინდება ევქარისტიაში არსებობის ყველა სფერო: კოსმიური, ადამიანური, სერაბინული. მასში ქვეყნიერება წარმოჩნდება, როგორც ნამდვილი კოსმოსი – ერთიანი და შედგენილი, შეკრებილი და უნივერსალური. აზრი სწვდება ქვეყნიერების დასაბამს და მის ბედს ადევნებს თვალს. „შენ მოგვიყვანე არარსებობიდან არსებობაში და დაცემულნი ხელახლა აღგვადგინე, არ შეჩერებულხარ და ყოველივე აღასრულე, ვიდრე ცად არ აღგვიყვანე და შენი მომავალი სასუფეველი არ გვიბოძე“, – ლოცულობს ეკლესია და ყველასთვის ქრისტეს მიერ იხსნება გზა „სასუფეველის სისავსისაკენ“.

ევქარისტიაში ერთიანდება დასაბამი და დასასრული, მო-

ციქულთა გარდამოცემა და აპოკალიფსური წინასწარმეტყველება – ახალი აღთქმის მთელი სავსება. აპოკალიფსში მრავალი რამ არის ლიტურგიკული, – „კრავის სერობა“⁶ ლიტურგიის წესშიც უკვე ბრწყინავენ ფერები მერმისა მის საუკუნისა. ეს ქვეყნიერების გარდაქმნის დასაწყისია, საუკუნო ცხოვრებისთვის მისი აღდგომის დასაწყისი, და პირიქითაც შეიძლება ვთქვათ: ცხოვრების აღდგომა იქნება სწორედ მსოფლიო ევქარისტია – ტრაპეზი, სიცოცხლის გემება. „იმ მიზნითაც მიაკუთვნა უფალმა სიტკობებით მერმის მის საუკუნისა წმიდანებს სახელი „ტრაპეზი“, – განმარტავს კავასილა, – რათა ეჩვენებინა: იქ არაფერია ამ ტრაპეზზე აღმატებული“. როგორც სვიმეონ თესალონიკელი ბრძანებს: „და იესო, საღმრთო მსხვერპლი, იქნება თავის წმიდანთა შორის, და ის იქნება ყველასთვის მშვიდობა და სიმრთელე, იქნება ასევე მღვდელთმთავარიც, და იქნება ის, რომელიც მოქმედებს წმიდა საიდუმლოში – ყველას გამაერთიანებელი და ყველასთან გაერთიანებული“.

ევქარისტიაში წინასწარ განცხადებულია ეკლესიის სავსება, მისი აღსრულება, კაცობრიობის ის სრულყოფილი ერთობა, რომელსაც მოველით და ვიმედოვნებთ საუკუნო ცხოვრებაში. ევქარისტია წინმსწრები და დასაბამიერია. მაცხოვრის აღთქმის მიხედვით: „ვინც ჭამს ჩემს ხორცს და სვამს ჩემს სისხლს, ექნება საუკუნო სიცოცხლე, და მე აღვადგენ მას უკანასკნელ დღეს“ (იოანე 6:54) – ეს აღდგომის იმედი და საწინდარია, „მომავალ ცხოვრებასა და მომავალ სასუფეველზე დაწინდვა“.

6. „და მრქუა მე: დაწერე, ვითარმედ: ნეტარ არიან წოდებულნი სერობასა მას კრავისასა, და მრქუა მე: ესე სიტყუანი ჭეშმარიტნი ღმრთისანი არიან“ (გამოცხადება 19:9) [მთარგმ.].

ევქარისტიაში ჩვენ ვეხებით გარდაქმნილ ქვეყნიერებას, შევ-აბიჯებთ ზეცაში, ვეხებით მომავალ ცხოვრებას. „ამ სისხლთან ზიარებულნი, – ამბობს ოქროპირი, – ანგელოზებთან, მთავარ-ანგელოზებსა და ზეციურ ძალებთან ერთად დგანან, ქრისტეს სასუფეველისეული სამოსი მოსაგთ და სულიერი საჭურველი უპყრიათ. მაგრამ ამით ჯერ კიდევ არ მითქვამს უმთავრესი რამ: ისინი თავად მეუფის მსგავსად იქნებიან შემოსილნი და შემკულნი“... – და ეს ხდება ემპირიულ სკენელში, ისტორიაში; და ამავე დროს, ეს ისტორიის დასასრული და გაუქმებაა, გან-მაცალკევებელ და მსწრაფლწარმავალ დროზე გამარჯვებაა. წმიდა მაქსიმეს განმარტებით, ლიტურგიაში ყველაფერი მერ-მის საუკუნის ხატია და „ამქვეყნიერების დასასრულს“ აღნიშნავს.

განსაკუთრებული შემართებითა და სითამამით საუბრობს ამის შესახებ ნიკოლოზ კავასილა: „პური ცხოვრებისა, ევქარისტია, თავად არის ცოცხალი, და მისი წყალობით ცოცხლობენ ისინი, ვისაც ის მიეცემა... ცხოვრების პური თავად აცოცხლებს თავის მიძღებს და ცვლის მას, თავისად გარდაქმნის... როდესაც ჩვენ-ში ქრისტე გარდამოვა, შემოგვეზიარება და გვიერთდება, ის გვცვლის ჩვენ და თავის თავში გარდაგვქმნის, როგორც მირონის უკიდევანო ზღვაში მოხვედრილ წყლის პატარა წვეთს... როდესაც თავის ტრაპეზთან მივყავართ ქრისტეს და თავის სხეულს გვიბოძებს სახმევედ, ის მთლიანად ცვლის საიდუმ-ლოს მიძღებს და, თავისეულად გარდაქმნილს – მიისაკუთრებს; და მტვერი, მიიღებს რა მეუფის სახეს, უკვე აღარ არის მტვერი, მიწისაგანი, ის უკვე სხეულია მეუფისა, უფრო მეტად ნეტარი, ვიდრე ამის წარმოდგენაა შესაძლებელი“. უმჯობესი დაიპყ-რობს უუძღურესს, საღვთო დაიმორჩილებს კაცობრივს, და როგორც პავლე მოციქული ამბობს აღდგომის შესახებ: რათა ცოცხალმა შთანთქას მოკვდავი (1 კორინთელთა მიმართ 5:4).

ეს არის უკანასკნელი საიდუმლო. შეუძლებელია მეტის წვდომა, შეუძლებელია რამის დამატება.

უფრო მეტი ძალისხმევით ვგრძნობთ საზღვარსა და განსხვავებას ფერნაცვალებსა და ფერუცვლელს შორის, წმიდასა და მიწიერს შორის, ვგრძნობთ მძაფრ დაპირისპირებას დიდ საიდუმლო მღუმარებასა და გარემომცველი ქვეყნიერების შფოთვას შორის. ტაძარში მარადიული სიყვარულის სიმშვიდე სუფევს, ტაძრის გარშემო კი კაცობრიული ოკეანე ბობოქრობს. ეკლესია ჯერ ისევ კუნძულია ყოფა-ცხოვრების შფოთიან ზღვაში. „ეს არის გაცისკროვნებული, სხივოსანი კუნძული, მის თავზე ბრწყინავს და ეღვარება საღმრთო მზე სიყვარულისა, *Sol Salutis*, ხოლო ქვეყანა რჩება უსიყვარულოდ და სიყვარულის გარეთ; და, როგორც ჩანს, არ სურს და არ აღიარებს ჭეშმარიტ სიყვარულს“.

მაგრამ ქრისტიანი კაცის გულში მტკივნეული ნაპრალი ჩნდება. ლიტურგიკულ გამოცდილებაში (ემპირიაში) მოიპოვება მღუმარების პათოსი, სიხუმის წყურვილი, განმარტოებული ჭკრეტის მოწადინება. „ყოველივე მსოფლიო დაუგუტვევოთ ზრუნვა“... და ამ იღუმალებაში არის უცილობელი ჭეშმარიტება. ევქარისტიაზე ბარძიმთან მისასვლელ გზაზე ქრისტიანი საკუთარ თავს მკაცრად გამოსცდის, ღმერთის წინაშე საკუთარ სინდისთან პირისპირ დგას. ღვთივკრძალულება ამქვეყნიური ამოებისგან იცავს სიწმინდეს – „რადთა არა მტერთა შენთა უთხრა საიდუმლოდ შენი“.

როგორც მთაზე ფერისცვალების უამს, ლიტურგიკულ გამოცდილებაშიც ისე უხვად იფრქვევა საღმრთო ნათელი, რომ კაცს აღარ სურს უკან დაბრუნება და კვლავ ამქვეყნიურ ამოებაში გარევა. ამავე დროს, სიყვარული ვერ ითმენს უმოქმედობას, და ლიტურგიკულ მღვიძარებაში ჩინილი ერთობისა და შერწყმის

სულისკვეთება არ შეიძლება საქმეებად არ იქცეს. ღვთისმსახურებას სიყვარულის საქმეები განაგრძობს, რადგან ეს საქმეები, თავისი არსებით, სწორედ ღვთისმსახურებაა, მსახურება და ღიღება ღვთისა – სიყვარულისა. ამიტომ, ევქარისტია გზას უხსნის ყოველდღიურ მოსაგრეობას, ქვეყნიერებისთვის მშვიდობის ძიებას: „სავსება ეკლესიისა შენისა დაიცევ და მშუდობა მიჰმადლე ქუეყანასა შენსა“ – მშვიდობის ასეთი ვედრებით გამოვდივართ ჩვენ ტაძრიდან „ამ ქვეყანაზე“, ისევე როგორც მშვიდობით უნდა შევაბიჯოთ ამქვეყნიდან ტაძარში; გამოვდივართ იმ სულისკვეთებით, რომ მთელი ეს ქვეყანა იყოს ღვთის ქვეყანა, ყოვლადღლიერი ღმერთის ყოვლადსახიერი ნების აღსრულებით გაცისკროვნებული.

ქვეყნის სამსახური ზიარებულთა დანიშნულება ხდება. ამქვეყნიურმა უთანხმოებამ არ შეიძლება არ ააფორიაქოს და არ განგმიროს ქრისტიანის გული. განსაკუთრებით მტკივნეულია უთანხმოება ქრისტეს გამო, ქრისტიანული სამყაროს განხეთქილება, ევქარისტიაზე ტრაპეზის დანაწევრება. ამ უთანხმოებასა და განხეთქილებაში ძევს მტანჯველი საიდუმლო – ადამიანის დაღატაცება და განდგომილების საიდუმლო. ეს საშინელი საიდუმლოა, რადგან ნაწილებად იფლითება მაცხოვრის კვართი, მისი სხეული. ამ უთანხმოებას მხოლოდ სიყვარული სძლევეს – ქრისტეს სიყვარული, რომელიც მშვიდობის სულით მოქმედებს ჩვენში. ნიშანდობლივად არის თქმული: „რაც უნდა ბევრი ვიღვაწოთ „ყოველთა ერთობისათვის“, მაინც ყოველთვის მცირედი იქნება“. ეკლესიისკენ მიმავალი გზა მრავალ განტოტებად იყოფა და თავდება ისტორიულ ჰორიზონტს მიღმა, მერმისი საუკუნის სასუფევლის კვირახალზე. მოგზაურობა მაშინ დასრულდება, როდესაც მეუფე მოვა და დაიწყება დღესასწაული.

მანამდე კი ეკლესიის ლოცვა აღსებისათვის ისევე სველი-
ანად უღერს, როგორც უღერდა პირველივე დღეებიდან: „როგორც
ეს პური, ოდესმე ბორცვებზე გაბნეული, შეიკრიბა და ერთი
გახდა, ისე შეკრიბე შენი ეკლესია ქვეყნიერების კიდეთაგან
შენს სასუფეველში!“.

**„მოვედინ სუფევაჲ შენი, იყავნ ნებაჲ შენი, ვითარცა
ცათა შინა, ეგრეცა ქუეყანასა ზედა!“.**

1929. III. 11/24

მართლმადიდებლობის კვირა



წმიდა გრიგოლ კალამა და მამათა ტრადიციები

მამათა კვალდაკვალ.

„მივსდიოთ წმიდა მამებს“... – ჩვეულებრივ, ამ ფრაზით იწყე-
ბოდა უძველეს ეკლესიაში სხვადასხვა დოგმატური განმარტე-
ბა. ეს სიტყვები უძლოდა წინ ქალკედონის კრების დოგმას.
VII მსოფლიო საეკლესიო კრებამ უფრო დეტალურად განმარ-
ტა თავისი სწავლება: „მივსდიოთ ღვთივგანბრძნობილ წმიდა
მამათა სწავლებებსა და კათოლიკე ეკლესიის ტრადიციას“. მამა-
თა სწავლებებზე მითითება ჩვეულებრივი მოვლენაა საეკლესიო
პრაქტიკაში.

ეს იყო იმაზე ბევრად მეტი, ვიდრე მხოლოდ „აპელირება
სიძველისადმი“. სინამდვილეში, ეკლესია დასაბამიდან ხაზს
უსვამს სარწმუნოების უცვალებლობას თაობიდან თაობაში. ჩვენ
გვწამს ის, რაც სწამდათ მოციქულებს, ეს არის ჭეშმარიტი
რწმენის უტყუარი ნიშანი, რომელიც მარადიულად უცვლელია.
სიძველე, თავისთავად, არ წარმოადგენს ჭეშმარიტების გარანტს.
უფრო მეტიც, ქრისტიანობა იყო მართლაც გასაოცარი სიახლე
„ანტიკური სამყაროსათვის“ და მოწოდება რადიკალური „განა-
ხლებისკენ.“ ძველი დასრულდა და ყველაფერი „განახლდა“.

ამას გარდა, ერესებიც აპელირებდნენ წარსულზე და მოუხ-
მობდნენ თავიანთი „გადმოცემის“ ავტორიტეტულობას. ერეტი-
კოსები ხშირად ეყრდნობოდნენ წარსულს. ძველებურ ფორმუ-
ლირებებს ხშირად შეეძლო ცდომილება გამომეწვია. თავად
ბიკენტი ლირინელი კარგად აცნობიერებდა ამ საფრთხეს: „რა
საოცარია, ავტორთა მოსაზრებები აღიარებულია მართლმადიდე-
ბლურად, ხოლო მათი მიმდევრები – ერეტიკოსებად. მასწავლე-
ბლები გამართლდნენ, ხოლო მოწაფეები განკითხულნი არიან.“